

# სალოგოზრო ვეროელი

გაზეთი გამოდის  
1921 წლიდან

სალოგოზროლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

დღეს გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა

## უიარაღი „სამოკავშირეო ხელშეკრულები“ შესახებ

## დემოკრატიის თაობაზე დაბრუნება

„თავისუფალ ერთა მძლე კავშირი მშური, შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს... აბა, კარგად გაიცნობიერეთ ამ პიშნის იმპერიული სულისკვეთება, რომელიც ყოველდღიურად მოგვაგონებს, რომ დიდ რუსეთის ხალხს მუდმივად შეუკრავს სხვადასხვა ერთა კავშირით.“

ალბათ ამ პიშნის მზაკვრული დედაბრძოლი დაედო საფუძვლად ახალ სამოკავშირეო იმპერიულ უვადო ხელშეკრულებასაც, რომელიც სსრ კავშირიდან გასვლის ყოველგვარ გზას უზღობს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს.

თურმე, 1922 წელს სსრ კავშირის ხელშეკრულებას შექმნისას, პროლეტარიატის ბელადს, ვლადიმერ ულიანოვს ლენინს მხედველობიდან „გამორჩა“ სამოკავშირეო ხელშეკრულების ვადის განსაზღვრა და სამუდამოდ შეაუღლა რესპუბლიკები მათი სურვილის გაუთვალისწინებლად.

ბელადის „შეცდომა“ ძალაში დატოვებს ერთგულმა ლენინებმა. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის შემუშავების დროს, კვლავ „დაავიწყდათ“ მოქმედების ვადის აღნიშვნა. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებაც გვაგალობს მუდმივად ვიყოთ ჩაფსკენილ-ჩახუტებულნი კრემლთან და „დიდ“ უფროს რუს მებთან

ასზე მეტი ეროვნების მცირერიცხოვანი ხალხები. „მობის“ უღელზე უარის თქმა დანაშაულად ითვლება. უარებს სასტიკად უსწორდებიან. იმპერიის დამცველებს აცოფებთ ზოგიერთი რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის მოთხოვნები. მათ კარგად ესმით, რომ საკავშირო მასშტაბის ჩინოვნიკს არავინ დაახვედრებს ცხელ ზაქაურს, შემწვარ გოქს, საცივს, მწვადს, ზვანკარას, ქინძმარაულს რიაზანში ან ჩელიაბინსკში ჩასვლისას.

იცის ყოველივე ეს იმპერიული პიშნის სულისკვეთებით აღზრდილმა უფროსმა რუსმა „მამა“ და ემუქრება იმ ურჩ, თავხედ უმცროს „მამებს“, რომლებიც უარს ამბობენ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მათ შეშფოთებას ანეიტრალებს სსრ კავშირის სახალხო დემუკრატია სესიებისა და ყრილობების უცვლელი „დირიჟორი“ ანატოლი ლუკიანოვი, რომელიც მშვიდად შეახსენებს დემუკრატებს, რომ ვინც ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, განახლებული, გარდაქმნილი, გადემოკრატებული საბჭოთა ფედერაციის დიდი ოჯახის სრულყოფილებიანი, სუვერენული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდება, ზოლო ვინც ხელს არ მოგვიწერს, კვლავ კრემლის უღლის ქვეშ დარჩება 1922 წლის უვადო ხელშეკრულების ძალით, მა-

თვის აღარც დემოკრატია იქნება და აღარც სუვერენიტეტი... ახლა, ალბათ, ურწმუნო თომა-მაც ირწმუნა საბჭოთა დემოკრატის რეფორმატორთა იმპერიული სულისკვეთება, ნაადრევი იყო გარდაქმნის ტალღით გამოწვეული სიხარული. გზა დემოკრატისაკენ სისხლით მოგვირწყეს. გაერთიანებისა და შეკავშირების ნაცვლად დაეჩქარა საზოგადოებრივად, ასოციაციებლად და მოვინდომეთ უცბად გადაგვეწყვიტა ყველა ის პრობლემა, რომელიც სამოცდაათიანმა კომუნისტურმა დიქტატურამ დაგვიტოვა. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ნაკლებად ვიზრუნეთ დემოკრატის დამცველ ჯარისკაცთა რიგების ზრდაზე.

დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის სტრუქტურების აღდგენისათვის ზრუნავს და იბრძვის ქართველი ერის დიდი უმრავლესობის ნებით არჩეული მრავალპარტიული, კემპარტიად მამული-შვილური უზენაესი საბჭო და მის ირგვლივ ყველა დემოკრატიული ძალა უნდა გაერთიანდეს. გათიშულობა, გვერდზე დგომა, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს...

ბალტიისპირეთის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებში საბჭოთა ტანკების „გასეირნებამ“, სპეციალურად გაწვრთნილი ჯარისკაცების ვანდალურმა სისხლისღვრამ მკაფიოდ შეგვახსენა, რომ დემოკრატის თამაში დამთავრდა, საბჭოთა იმპერია ურჩი ერების განთავისუფლებას არ აპირებს და თავისი იმპერიული პიშნის ერთგული რჩება.

ამიტომაც გვმართებს გაერთიანება პლაზმის უკანასკნელი სისხლიანი საბჭოთა იმპერიული ძალების წინააღმდეგ.

დემრთი იყოს დემოკრატებისათვის მებრძოლი ყოველი ერის მფარველი!

**როზარტ ცუცუერიძე,**  
საქინფორმის კორ.  
საქციალურად „ახალგაზრდა ივერიელებსათვის“.

## სხვა გაზეთებში

### ხალხი ხმას იმაღლებს

**მოვითხოვთ** ბალტიისპირეთში პუტჩისტების დაპატიმრებას. ნუ მამცირებთ სუვერენიტეტსა და ადამიანის უფლებებზე ლაყბობით, მე სხვისი მიწა არ მჭირდება. ხელები შორს მეზობელი ხალხებისაგან.

ვიახსენებ ჩიჩინი რუსი, მუსა. იარენსკი, არხანგელსკის ოლქი.

ბრძანებებს ასრულებენ. საქმე სხვა რამეშია. ვინ აიძულებს გუშინდელ სკოლის მოწაფეებს, ახლახან რომ ნახეს საბრძოლო ტექნიკა, დაამყარონ წესრიგი იქ, სადაც ასაკოვანსაც კი უჭირს გაერკვეს რა ხდება. ნუთუ არ აგებენ პასუხს ბოლოსდაბოლოს ისინი თავიანთი ნამოქმედარისათვის?

**ვ. ჩუჩუკოვი.**  
(თადარიგის უფროსი ოფიცერი)  
49 წლის. მოსკოვი.

### მოვითხოვთ

გადასცეთ მარშალ იაზოვს გულითადი მილოცვა თვალსაჩინო გამარჯვებისათვის — ვილინიუსის ტელეცენტრის აღებისათვის, მამაც სადესანტო ჯარისკაცებს ვუსურვებ ახალ წარმატებებს მოსახლეობასთან ბრძოლაში.

რიაგითი ვოლოვიკი, რიგა.

### მოვითხოვთ

გაზეთის საშუალებით მიულოცო პატრიოტ პრემიერ-მინისტრ პავლოვს სამდღიანი საკავშირო გაფიცვის წარმატებით ორგანიზება, რაც ვერ შეძლეს „ვეგრეთ წოდებულმა დემოკრატებმა“ მომხდარი ამბების შემდეგ ლიტვაში.

ჩვენ კი ვფიქრობთ: „რატომ გვიხდინენ ჯამაგირს აგერ ორი თვეა ასმანეთიანი კუბიურებით? იქნებ იმიტომ, რომ მაფიამ მანამდე გადაცვალა?“

**ხვერდლოვსკის ფოსტის მუშაკები.**  
„კომსოლოვსკაია პრავდა“ № 18 1991 წ.

### ფაბრი

შპომენტარბოგ

### რაზე ელიშება იაზოვს

**როგორც** ვიცით, სსრკ თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი იაზოვმა გამოიძახა ორი პოლკოვნიკი — დემუტატები ალკანსი და პეტრუშენკო და უბრძანა პრეზიდენტ გორბაჩოვის საწინააღმდეგო გამოსხრობების შეწყვეტა. „ნიუ იორკ თაიმსის“ მოსკოველი კორესპონდენტის ბილ კელერის რწმუნებით, რომელიც ეყრდნობა თვით მარშალთან საუბრის მონაწილეთა ნათქვამს, პოლკოვნიკებმა უარი თქვეს ბრძანების შესრულებაზე.

ეურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა მოიმოქმედა თავდაცვის მინისტრმა მათი უარის შემდეგ, პოლკოვნიკმა პეტრუშენკომ უპასუხა: „გაიღიმა. შინაგანდ ის ჩვენ გვემბრობა“.

იური ბანდურა,  
ნიუ იორკი  
„მოსკოვსკე ნოვოსტი“ № 1 1991 წ.

### თაილისის 55-ე სკოლის პედ-

საბჭომ განიხილა და მხარი დაუჭირა X2 კლასის მოსწავლეთა წინააღმდეგ მრავალშვილიანი ქართული ოჯახების დახმარების მიზნით თანხების შეგროვების შესახებ. სკოლაში სულ 13 ათასი მანეთი შეაგროვეს, აქედან მოსწავლეთა დანახოვებით — თითქმის 12 ათასი მანეთი. ნაწილი ამ თანხისა, რომელიც გადაირიცხა მ. კოსტაეას სახელობის ფონდში, მოხმარდა ჯავახეთის სოფელ უღეში სახლის შესყიდვას.

მისის თვეში 55-ე სკოლაში ეწვევიან უღეს, სახემო ვითარებაში ჩააბარეს სახლის გასაღები 10-შვილიან აფრიამაშვილების ოჯახს და გადასცეს საჩუქრები.

შეგროვილი თანხის დარჩენილი ნაწილი ჩაირიცხა ეროვნული თავდაცვის ფონდში.


## ეს ჩვენი ისტორიაა

### ქორდი

**სამანაბლოში,** ლაზხის ხეობაში დგას ოთხხართულიანი ქოშკი. გარედან ქორდის ქოშკი ცილინდრულია. ქოშკის მეორე ხართული ხატივრებელს წარმოადგენდა.

უახლესიდან განსაკუთრებით მორთულია მეორე ხართულის შენახველი. ქორდის ქოშკი აგებულია მე-18 საუკუნეში და ეკუთვნის და მახალხებს.

თამაზ მინაშას ფოტო



რეზერვაციის გაგრძელება იხ. მე-8 გვ.



904 წ. აფხაზთა მეფე კონსტანტი იპარობს უფლისციხეს და „ყოველ ქართლს“ ივანე ტბელი მის ვასალად, ერისთავად იქცევა. გიორგი აფხაზთა მეფის ძე კონსტანტი „ქართლის გამგებლად“ იწოდება და მისი რეზიდენცია უფლისციხეშია, რომელიც X-XI სს-ში წარმოადგენდა შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრს (ქცა, I, 255, 262, 272, 275).

ქართლის აზნაურებს შორის, ზოგიერთი მათგანი სხვებზე უფრო აღზევებული, რამდენიმე „ხევის“ და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის მფლობელი უნდა ყოფილიყო. ასეთებდა ჩანან X ს-ის

ფრონის ხეობის სათავეში მდებარეობს საქართლის ციხე. მას ჩამოუდის საქართლის წყალი, რომელიც შეერთვის ფრონეს. ეს ციხე ქართლ-იმერეთის საზღვარზეა.

საქართლის ციხე გამაგრებული ჰქონია გივი ამილახვარს, როდესაც მან აჯანყება მოუწყო ნაღრ-შაჰს.

ციხე ძნელი მისადგომია. ჩრდილო-დასავლეთით მას აკრავს ღრმა ხევი, მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან შეიძლება ციხის გაღვანში შესვლა.

ციხე ნაგებია კლდის ფლეთილი წვრილი ქვით დულაბზე. იგი შე-

ნაკონიერებდა ციხე. ამ აზრისაკენ გვეყვება ლაშა გიორგის შეწირულობის წიგნი ქვათახევისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „აწცა მოვიდა ჩუენთან სულა ქართლის ერისთავი, ძე ერისთავთ-ერისთავისა რატი სურამელი, გუეპაჯა და მოგუახსენა, რაითამცა შევიწყალეთ და ქართლის სოფელი სუელნეთი, რომელი პაპისა ჩუენისაგან პაპისა და მამისა მისსა ჰქონებოდა... მერმე ჰქონდა საქართლის ერისთავისგანამცა გ... მონასტერსა მისსა ქვათახევის შეგსწირეთ.“

დალაუჯერა ღმერთმან, ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი ერისთავთ-ერისთავის სულა ქართლის ერისთავისაი და სუელნეთი გა-

მოგულია საქართლის ერისთავისაგან და შეგუიწირავს... ქვათახევისადმი“ (ქცა, II, 35).

უეკველია, ლაშა გიორგის სიგელის „საქართლის ერისთავი“ ვახუშტისეულ „საქართველოს ციხეში“ იქცა და მისი „შესავალი“ ქვეყნის ერისთავი იყო, ქართლის ერისთავის ხელქვეითი „ცოტა ერისთავი“. ამ სიგელით ირკვევა ასევე დიდი ერისთავის, ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართლის ერისთავის არსებობაც.

ადრეფეოდალური ხანის მიწურულს ფრონეზე იქმნება საქართლის საერისთავო, რომელიც ქართლის საერისთავოში შემავალი მცირე საერისთავოა. მისი ცენტრია საქართლის ციხე, ხოლო ერისთავთა ხაძელე-სამარხი უნდა იყოს საქართლის მონასტერი (ლიტერატურაში ცნობილი წორების მონასტრის სახელით). საქართლის საერისთავოს შექმნა ხომ არაა კავშირში დასავლურ-ქართული სახელმწიფოს — „აფხაზთა სამეფოს“ შიდა ქართლში ექსპანსიასთან? ტერმინები „საქართლის საერისთავო“ და „საქართლის ციხე“ ლიხთიმერეთის მხრიდან ვითარება.

„აფხაზთა სამეფოს“ ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ თანმიმდევრულია. ქართლში გადმოსვლამდე აფხაზთა მეფეები მტკიცე დასაყრდენს იქმნიან არგვეთში, რომელიც სურამის ქედს ებჯინებოდა და, მაშასადამე, შიდა ქართლს ეკვროდა. გავიხსენოთ „მატიანე ქართლისას“ ცნობა ჩიხას ერისთავის შესახებ, მატიანეში 885 წლის ახლო ამბების თხრობასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მას ეამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, მმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დიბუკრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიკქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხასა“ (ქცა, I, 258).

X ს-ში აფხაზთა მეფეები ქართლის ერისთავს უფლისციხეში სვამენ. ასე რომ, საქართლის ერისთავს ბუფერული მდგომარეობა უჭირავს არგვეთსა („ჩიხის ერისთავი“) და უფლისციხეს შორის.

975 წელს დავით აღმაშენებელმა თავისი შვილობილი ბაგრატ მეფედ გამოაცხადა. სამი წლის შემდეგ ბაგრატ III (975-1014) დასავლეთ საქართველოც შემოიერთა. ამით ჩაეყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებას. 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-პეტრეთი შემოიერთა.

უცხო დამპყრობთაგან ქვეყნის ვითარდობა და საქართველოს ერთიან მონარქიად გაერთიანება სრულდება დავით აღმაშენებლის დროს. 1122 წელს დავით ათავისუფლებს თბილისს, რომელიც იქცევა ერთიანი საქართველოს სამეფოს სტაბილურ ქალაქად. დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება გორის ქალაქად ქცევა.

დავით აღმაშენებლის შემგვიდრეგების (დემეტრე I, გიორგი III, თამარი) დროს საქართველო იქცევა წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ტონის მიმცემი კვლავ შიდა ქართლია. შიდა ქართლის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო დომენად იქცევა. ქართლის ერისთავთა რეზიდენცია XII-XIII სს-ში სურამშია.

ანტიკურ ხანაში ქართლის ერისთავის ანუ სპასპეტის სამყოფელი მცხეთის მანლობადაა. სპასპეტის რეზიდენცია გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში არმაზ-მთაქართლში უნდა ყოფილიყო. VI ს-ში ევაგრე სპასპეტის რეზიდენცია ციხედიდ-ნასტაგისშია. X ს-ში უფლისციხეში, XII-XIII სს-ში სურამში.


შესაძლოა ეს ვარაუთება კავშირში იყოს საქართველოს გაერთიანების ტენდენციასთან, შიდა ქართლის ლიხთიმერეთთან შერწყმასთან. ჩანს, ქართლის ერისთავის ფუნქცია თუ ტენდენცია სულ უფრო და უფრო „დასავლურ“ ხასიათს იღებს.

პერიოდი X ს-დან XIII ს-ის 20-იან წლებამდე ჩასიათდება ქართული კულტურის მძლავრი აღმავლობით. ვითარდება საერო ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნება, მონუმენტური მხატვრობა, პედურობა, ხელნაწერთა მხატვრული შემოქმობა, სურათმოდლებობა.

**ჯონდო ვასალია,**  
სურათში: იკორთის მონასტერი (XII ს.).

# ქ ა რ თ ლ ი

## ფეოდალიზმის ხანა



II ნახევარში ძამის ციხის მფლობელი „ადარნასე ძამელი მთავარი“ და კლდეკარის ერისთავი რატი, რომელიც ფლობდა ატნის ციხეს, მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას, თრიალეთს, მანგლისსხევის და სკვირეთს.

მთისა და ბარის ურთიერთობის ტენდენციის შედეგად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოქმნილია ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხეში, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ რატი ბაღვაშის საერისთავოს სახით, ცენტრით ატნეში. ამ პერიოდის შიდა ქართლის სხვა ფეოდალ-აზნაურები არიან სახურეულნი, მგდუურნი, ყანჩაულნი, კორინთელნი, სხვილოსელნი, ფხველენი.

შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გვიანშუასაუკუნეების „ზემო ქართლში“, ფრონის ხეობებში ანუ ფრონისპირეთში ადრეული ხანიდანვე ცალკე „ქვეყანა“ ყალიბდება, რომლის ცენტრად I ს-ში „დედოფლის მინდორი“, ხოლო VI-VII საუკუნეებისათვის დვანი ჩანს. შემდეგ საუკუნეებში კი ცენტრი დვანის წყლის ჩრდილოეთ ნაწილში ინაცვლებს.

დვანის წყლის ხეობაში წორებისა ჩრდილოეთით 8 კმ-ზე, ფრონის მარცხენა ნაპირზე დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებია.

სოფ. ყორნისიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე, დვანის

დგება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული გალავნისაგან. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგას ოთხსართულიანი მრგვალი კოშკი. სართულშუა გადახურვა არაა შემორჩენილი. კოშკს აქვს სათოფურები. კოშკს კარი აქვს მეორე სართულზე აღმოსავლეთ მხარეს. ციხის ეზოს სიგრძე O-W მიმართულებით 40 მეტრია, ხოლო S-N მიმართულებით 20 მ. გალავნის დასავლეთ კედელსაც აქვს სათოფურები. ციხის S-V ნაწილში მეორე ორსართულიანი კოშკია. მას კარი აქვს ჩრდილოეთ მხარეს. კოშკს აქვს სათოფურები.

ციხის გალავანი გამაგრებულია ხუთი ბურჯით. ციხის კედელსა და კოშკის დასავლეთ კუთხეში მიშენებულია წყალსაცავი. საქართლის ციხე ქართლ-იმერეთის სასაზღვრო ციხეა. მასზე გადიოდა იმერეთიდან ქართლზე მომავალი გზა. საქართლის ციხის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგს აღნიშნავს: „წორების ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი“.

საინტერესოა საქართლის ციხის თარიღის საკითხი. ს. მაკალათაის იგი ნაგებობის ტექნიკისა და გეგმის მიხედვით XI-XIII სს-სად მიაჩნია.


თანამედროვე საქართლის ციხის არქიტექტურული დეტალები არ იძლევიან საშუალებას ციხის ასეთი ადრეული ხანით დათარიღებისათვის. თუმცა ძველზე შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო პერიოდი და არაა გამორიცხული, რომ თანამედროვე ძეგლის ადგილას განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ან უფრო ადრეც ფე-







# კინო დიდია,



## პრობლემა-უფრო

ქართული კინემატოგრაფია მიგვაფიქვად?!  
 ადამიანთა გასაკვირი, უიმედობა, ყოველ დღე რაღაც ცუდის მოლოდინი. რაც დღეს გვიკისრებს. პრობლემები, საკითხები არ უნდა დარჩეს მიტინგებზე გადაწყვეტის დონეზე. კინემატოგრაფზე უნდა იფიქროს კინემატოგრაფებმა, ავადმყოფებზე — ექიმებმა, სპორტზე — სპორტსმენებმა და ა. შ.  
 ორი თვე არ არის, რაც ჩემი თანამოსაუბრე ბატონი **ბანსარიძე ბაზუშვილი** კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსი და კულტურის მინისტრის მოადგილეა.  
 — ხომ არ შეცბით ამ თანამდებობაზე რომ დაგინიშნეს?  
 — არა, რატომ?! მე წლების განმავლობაში ვიყავი მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის

ცენტრის დირექტორის მოადგილე. ასე რომ, ადმინისტრაციული სამუშაო ჩემთვის უცხო სულაც არ არის.  
 — თქვენ ფიქრობთ, რომ კინოს ჩინოვნიკი უფრო ხშირდება?  
 — კინემატოგრაფში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, ისეთი პრობლემები დადგა, რომ ეკონომისტის ჩარევა აუცილებელი გახდა. თვითონ დარწმუნებით, შეიძლება ისე დავასრულოთ საუბარი, რომ ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ პრობლემებს ვერც კი გავცდეთ.  
 საჯაროდ, რომ ცენტრალიზებული სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკის რეფორმის გარეგანი პერიოდის განმავლობაში მოჰყვება ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება — კრიზისული მოვლენებია. თანდათანობით მოხდება სახელმწიფო სექტორის შემცირება და კერძო კაპიტალისტური სექტორის გაფართოება. ამასთან, თვით სახელმწიფო სექტორშიც

მნიშვნელოვანი გახდება ეკონომიკური ფაქტორი — შოკება. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელია კინოინდუსტრიის სახელმწიფოს მიერ გაწეული დაფინანსების შემცირება ან შეფარდებითი შემცირება. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო კვლავ გასწევს „მეცენატის“ როლს კინოს მიმართ. ოღონდ ის კია, რომ მეცენატს უწოდებენ ისეთ მდიდარს, რომელიც მოკარბებული ფულის ნაწილს კინოსთვის გაიმეტებს ხოლმე. ხოლო რამდენად და რამდენ ხანს გამოდგება ჩვენი გალატანებული სახელმწიფო ამ როლში — ეს ცალკე საკითხია.

### რეჟისორებისთვის რომ მიგვეწოდო ეს საქმე?

— ასეთ შემთხვევაში რეჟისორი რეჟისორი აღარ იქნებოდა. თუმცა, კინოში მთავარი შემოქმედი ყოველთვის ის იყო და იქნება. კინემატოგრაფიის ახალ სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას მეტი შემოქმედებითი თავისუფლება. რამდენიმე შემოქმედებით სტუდიის შექმნა მხატვრულ კინოში, ვფიქრობ, თავიდან აგვაცილებს შემოქმედებით სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრალიზაციასა და პიროვნულ მონოპოლიზაციას, პრივილეგირებული ელიტის ბატონობას.

### ხომ არ შეზღუდავს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური მხარე ფილმის გადამღებას და რეჟისორების შემოქმედებით თავისუფლებას?

— არა. შემოქმედებით საკითხებს მხოლოდ შემოქმედებითი ჯგუფის წევრები გადაწყვეტენ. მათ ეძლევათ მაქსიმალური თავისუფლება — მოცემული ბიუჯეტის ფარგლებში აკეთონ თავისი საქმე. არ არის თემა, რომელიც დახურული იყოს. რაც უფრო მეტად განვითარდება საბაზრო ეკონომიკა, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდება კინემატოგრაფის უნარი, ფილმით გასცეს პასუხი ფართო სოციალურ მოთხოვნას, შექმნას ე. წ. „საკასო ფილმები“. ეს ერთი შეხედვით ზღუდავს შემოქმედების თავისუფლებას, მაგრამ მეორე მხრივ, განა ცოტაა იმის მაგალითი, როდესაც მაღალმხატვრულ ფილმს დიდი საკასო წარმატება ჰქონია? ვფიქრობ, ეს პროფესიონალიზმის ის იდეალია, რომლისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ.

### რას გულისხმობს რეფორმა?

— პირველ რიგში, მოგახსენებ უკვე, შემოქმედებითი სფეროსა და საწარმოო სტრუქტურის გაყოფას. გვინდა შევქმნათ კინოფაბრიკა, შემოქმედებითი კინოსტუდიები, სტუდიების საქმე იქნება საკუთრივ შემოქმედება, ხოლო ადმინისტრაციულ თუ ეკონომიკურ საკითხებს კინოფაბრიკა მოავაგრებს. ამგვარ შემოქმედებით სტუდიებში იქნებიან ძველი თაობის, საშუალო და ახალი თაობის რეჟისორები. მათ და აფინანსებს ნაწილობრივ სახელმწიფო, მეორე მხრივ — საშუალება ექნებათ შემოსავლის წყა-

რები ეძებონ თვითონ. დაფინანსების ამგვარი სახე იქნება: სახელმწიფო დაკვეთა — სახელმწიფო აქტიურად ჩაერთვება ფილმის ხასიათში...

### უკაცრავად, გაწვევებით, როგორ გავაგვოთ თქვენი ნათქვამი?

— ქართულ ფილმებზე ვერ ვიტყვით, რომ დროს გაასწარეს სოციალური თვალსაზრისით. აბა, დამისახელებთ ბოლო დროს შექმნილი რომელიმე ფილმი, რომელიმე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არის ასახული. რა თქმა უნდა, პიროვნების, თავისუფლების ამსახველი ფილმები ყველასათვის საინტერესოა, მაგრამ მსოფლიოს, პირველ რიგში, პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უნდა დაეანახათ...

### განაგრძეთ, ბატონო ბენია...

— მეორე სახის დაფინანსება გახლავთ მხოლოდ რეჟისორებისათვის და შემოქმედებითი ძიებისათვის — ინოვაციური ფილმებისათვის, ანუ ისეთი ფილმებისათვის, რომლებიც მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იქმნება და არც ფართო მასშტაბზე იყვლება. ხოლო მესამე სახისა გახლავთ თავისუფალ შემოქმედებით საწყისებზე — სასურველი იქნება ასეთმა ფილმებმა მოგვება მოგვეტანოს, გადილონ რაც უნდა, ოღონდ შეგვიბრუნენ, რომ ფილმს ფართო მასშტაბზე ეყვლება.

რეჟისორებს მიზნად აქვთ რომელიმე უცხოურ კინოფესტივალზე თუ კონკურსზე პრიზის აღება — ამისათვის იღებენ ფილმებს. ეს კარგია — მსოფლიო სტანდარტების დონეზე მუშაობენ, მაგრამ ჩვენი სოციალური გასაჭირი?! ჩემი აზრით, „ბაშიჩუკი“ უფრო ეროვნული ფილმია, ვიდრე „მონანიები“. სწორად გამოვიტყვი, ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

### წელიწადში 10-12 ფილმი და მუშაობაში, აქედან ორი-სამი თუ გამოდის კარგი. დანარჩენი — საშუალო დონის ფილმებია. არც პრესტიჟული პრიზებს იღებენ და არც მასშტაბზე იყვლება.

### თქვენ ფიქრობთ, რომ კინოფაბრიკა დარჩაზღვის სისავსებით უნდა ვიმსჯელოთ კინემატოგრაფიაზე?

— კინოფაბრიკაში მისვლა და ფულის გადახდა ბილეთში არის ხმის მიცემა კინოსთვის. ეს არის ნდობა — კინემატოგრაფისათვის ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობა.  
 კინემატოგრაფმა აღმზრდელით, შემეცნებითი როლი უნდა ითამაშოს. წარმოდგინეთ, უსაკმელო, უწამლო ხალხს გაძღვეს 10 მილიონ მანეთს... შემოქმედებითი ჯგუფების სინდისზეა, როგორ გამოხატავენ ხალხის მისწრაფებებს. ხვალ ტანკები მოვლენ, უნდა დავიხსოვოთ და თავი შევავსოთ... რა როლს ითამაშებს აქ ქართული კინო?!

ეს ყველაფერი, უბრალოდ, ჩემი ადამიანური მოთხოვნაა — შემოქმედებით პროცესში მე არ

ჩავერევი... როგორც ჩვენი კინო... ყურადღელი და მოქალაქე კი ვისურვებდი უფრო მეტ, საინტერესო ქართულ ფილმს, განსაკუთრებით კი იმის შესახებ, რაც ყველაზე უფრო გვაღელვებს — დამოუკიდებლობა, ჩვენსათვის მრავალტანჯული, სისტემატურად ვიციკლის უღლის ქვეშ მყოფი ერისათვის ეს ყველაზე დიდი ფასეულობაა.

ვფიქრობ, შეიძლება დავებნარო ქართულ კინემატოგრაფიას საბაზრო ეკონომიკისა და ადმინისტრაციის სტრუქტურის ჩემი ცოდნით და შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობით.  
 აქ მეორე მხარეც არის — სცენარი... რომელი რეჟისორი იტყვოდ უნდა, გადაეღო ფილმი ილიანზე ღირსეული სცენარით?! ძნელი დასაჯერებელია — ერს, რომელსაც საუკეთესო პოეზია და მწერლობა აქვს, არ ჰქონდეს სცენარი... ეს რაღაც კინოს ავადმყოფობაა.

კიდევ ერთი დაძლევა გვინდა რეორგანიზაციით: როცა არსებობდა კინოს სოციალისტური სისტემა, შეიქმნა სოციალური ფილმი — ხელოვანთა წრე, რომელიც ნიჭთან ერთად ნაბატონები, ნაფერები იყო სისტემისაგან. მათ ჰქონდათ უამრავი პრივილეგიები, დაუმსახურებელი პრივილეგიები — ეს ყველაფერი, შერწყმული მაღალ თანამდებობებთან, ქმნიდა და ქმნის გარკვეულ წინააღმდეგობებს.

ფილმის მხოლოდ რეჟისორია და არაფრის პრეზიდენტი და დირექტორი არ არის. რეჟისორებს პოსტები არ უნდა ეკავოდ. აქ მხოლოდ დემოკრატიული სისტემა გვიშველის, ხელმძღვანელობის ხშირი ცვლა — 5 წელიწადში ერთხელ, მაგრამ არც ამ 5 წელიწადში იქნება ძალაუფლება აბსოლუტური. აქაც კონტროლი იქნება.

### არა ხაჭირია კონტროლი, თუკი დემოკრატიულად, ხალხის ნებით აირჩევა ხელმძღვანელი და თუ კოლეგების ნდობა ექნება?

— ადმინისტრაციული სისტემა თავისთავად აუცილებელი ბიოტეგრაფია, სხვათადასა სახელმწიფო კერა იარსებებს. ამის გადგინება დემოკრატიული მეთოდებით შეიძლება... წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება პიროვნებისა და თანამდებობის შერწყმა, პრივილეგიების უსაზღვრო ვადით მითვისება.

### თქვენი აზრით, ხელოვნება ხელოვნებისთვისაა თუ ხალხისთვის?

— ხელოვნება ხელოვნებისთვის ასაზრდოებს და ძალა სწევს ხელოვნებას. არ შეიძლება ხელოვნება ძიებდ ვაქცივთ. ნიჭიერება იმაში გამოიხატება, რომ ორივე შეათავსონ (ხელოვნება ხელოვნებისათვის და ხელოვნება ხალხისთვის)... რეჟისორებმა გადილონ ფილმები, ეკონომისტებმა წარმართონ ეკონომიკური სფერო, ადმინისტრატორებმა ადმინისტრაციული...

გახსობა  
**ბანი ზალბანაძე**

# „სისუსტე“

ამ პუბლიკაციების ავტორია მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ვოცო ჭიჭინაძე, რომელიც რამდენიმე ხანი აქყოფებოდა საპაჩახლოში და მომწიწრ და მონაწილეა იქ დატრიალებული ამბებში. მის ჩანაწერებს ერთგვარი მხატვრულობის პრეტენზია აქვს, მაგრამ მკითხველს ვთხოვთ, ამ მხრივ ძალზე მოთხოვნა წუ იქნება ავტორის მიმართ, ჩანაწერებს სხვა რამ არის მთავარი — მართალი კაცის თვლით დანახული რეალობა. და ერთ რამესაც გაავსებდეთ: ჩანაწერებს მესამე პირში მოხსენიებული ოფიცერა თვითონ პირველი პირითაა.

სუსტიანი 7 იანვრის ნაშუადღევო იყო.  
 ქალაქ ცხინვალის ცენტრში ქართული მილიციელები და ოსი მოპაკეტე ექსტრემისტები თავიანთი პოზიციებიდან ზვერავდნენ ერთმანეთს.  
 მე-5 ზონის ოფიცერი მასზე გამოყოფილ მილიციელებს გულდაგულ ამოწმებდა. ისინი სპეცტანსაცმლისა და იარაღის ნაკლებობაზე ჩიოდნენ.  
 — ჯიმშერ, როგორა ხარ ბიჭო? ტყვიის ხომ არ გეშინია?  
 — ასეთ მოფარებულ ადგილას ტყვია როგორ მიპოვის, უფროსო.  
 მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა.

მუცელში დაჭრილმა ჯიმშერმა რაღაც არაადამიანურად დაიკენესა — დამჭერს, ბიჭებო!  
 სისხლისაგან დაცილი ცხისძირელი, ჯიმშერ მამედოვი ბრძოლის ველიდან რომ გაეყავდათ, მილიციის უფროსს დათო ზეიჯიქის სთხოვა, მიშველოვო....  
 — ნუ გეშინია, ბიჭო, ყველაფერი კარგად იქნება ჩისძახა მან და ავტომატის ჭერი იმ შენობის სახურავისაკენ მიმართა, საიდანაც თანამშრომელი დაუჭერს.  
 ორმხრივი სროლა გრძელდებოდა.

ოსმა სნაიპერმა კიდევ დაჭრა რამდენიმე მილიციის თანამშრომელი. თავზეხელაღებულს ჰკავდა, ტყვიის ცეცხლში ადგილებს ზშირად იცვლიდა და იარაღს ზუსტად ხმარობდა. ერთ-ერთი ასეთი გადაადგილების დროს იგი ტყვიით განგმირული დაეცა.  
 — რა მარჯვედ იბრძოდა, მაგრამ ვის ებრძოდა? ან რა სინდისით, რამ დაუბნულა გონება — მწარედ ფიქრობდა ოფიცერი.

ირგვლივ ყველაფერი ირეოდა. მილიციის უფროსი ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლში თავს არ იზოგვდა, ლომივით იბრძოდა და პირადი მაგალითით ამხნევებდა ყველას.  
 ამ ორომტრიალში ოფიცერმა თვალი მოკრა სულ მთლად ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც შენობის კუთხეს მოფარებოდა, იარაღს არ ისროდა და დიდი, გოცნებული თვალებით იყურებოდა.  
 — ახალგაზრდა, ალბათ შეშინდა — წყენით გაიფიქრა ოფიცერმა.

სროლამ დიდხანს გასტანა. უეცრად, ყველას გასაოცრად, პოზიციის დატოვების ბრძანება მოვიდა... გაოგნებული და გახევებული მილიციის უფროსი ბიჭებს ცეცხლის ხაზიდან გამოსვლაში ეხმარებოდა. ცდილობდა პანიკა არ დაეწებულყო.  
 ამ დროს ოფიცერმა სროლის დაწყების წინ, ხეებზე მიბმული და უპატრონოდ მიტოვებული სახსატურის ძაღლები შეინშა, ორ

მათგანს უკვე ცხვირი სამუდამოდ თოვლში ჩაერგო, ერთი კი დაჭრილი საბრალოდ წამუტუნებდა. დანარჩენები ადამიანებივით ხეებს ამოფარებოდნენ და ხმას არ იღებდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ მათთვის ესლა აღარავის ეცალა.

პოზიციის დატოვება მთავრდებოდა.  
 სულ ორიოდ ათეული მილიციელი იყო დარჩენილი ადგილზე, რომელთა შორის ოფიცერმა სწორედ ის დიდოფიქრება, ახალგაზრდა მილიციელი შეინშა.  
 — რას შერები, ბიჭო, ვაგედი, სად გარბინარ — დაიყვირა ვიღაცამ.  
 ოფიცერმა დაინახა, რომ ის ახალგაზრდა მილიციელი ხეებზე მიბმული ძაღლების საშველად იწვევდა.  
 — მე მათ აქ სასიკვდილოდ ვერ დავტოვებ, დაიყვირა და ტყვიების ცეცხლში მათგან გაექანა.  
 — რა გული გქონია, ბიჭო,

**აქტიუბაში** საბჭოთა ფულადი ნიშნების გამოცვლის ირგვლივ არც დღეს დაწყებული და არც გუშინ. ეკონომისტების ერთი ნაწილი უკვე კარგა ხანია დაეინფორმირებოდა ფულადი რეფორმის განხორციელებას. მას შემდეგ, რაც ინფლაციამ საბჭოთა კავშირში უმარტავი ხასიათი მიიღო, ვნებანი ფულის გამოცვლის თარიღს დაკავშირებდა მოსახლეობის ფართო ფენებთან. ხასიათი მიიღო, ვნებანი ფულის გამოცვლის თარიღს დაკავშირებდა მოსახლეობის ფართო ფენებთან. ხასიათი მიიღო, ვნებანი ფულის გამოცვლის თარიღს დაკავშირებდა მოსახლეობის ფართო ფენებთან.

იგივე პრობორციით გადახვარა შემა. სწორედ ასეთი იყო 1961 წლის რეფორმა, რომელიც აგრეთვე მიზნობრივ და მიზნობრივ ნიშნულად ეფექტური აღმოჩნდა.

თუ მოვლენებს თავიანთ სახელებს დავარქმევთ, მიმდინარე ფულადი რეფორმა, მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივია, აშკარად კონფისკაციურ ხასიათს ატარებს, რადგან ძველი ფულადი ნიშნების შეცვლა მკაცრად არის ლიმიტირებული. სხვაგვარად როგორ უნდა იხსნას ის გარემოება, რომ მათი ჩაბარების ვალაჟი დღით არის შეზღუდული, ხოლო საშუალო თვითონ ხელფასის შემთხვევაში გადახურდაცვა ყოველ პიროვნებასათვის დამამ-

უძრავ ქონებასა და ძვირფას ნივთებში ანაღნებენ. შემთხვევითი როლია, რომ ბოლო წლებში ერთი ათად გაიზარდა საცხოვრებელი ბინებისა და სახლების, ავტომობილების, ავეჯის და ბევრი სხვა რაიმის საბაზრო ფასი. არაფერს ვამბობთ იუველირულ ნაწარმზე, რომელიც სანთლით საძებნი ვახდა, სულ ახლახანს, ინვესტირების კიდევ უფრო მიმზიდველი არის გაჩნდა — უცხოური კონვერტირებადი ვალუტა, რომელიც სულ უფრო მეტად იჭრება ჩვენს შინაურ საქონელში მოქცევაში. ერთი სიტყვით, საქმისგან თავიანთი ფულადი დაგროვება არც თუ ისე დიდი ნაწილი აქვთ შენახული შემნახველ ბანკსა თუ ჩვენებურ მუთაქებში.

მასების ნდობა შემნახველი ბანკის დაწესებულებათა მიმართ ერთობ შესუსტდა. სულ უფრო ხშირია ანაღრების მოხსნის და სერტიფიკატების უკან დაბრუნების შემთხვევები. საქმეს არც პრეზიდენტის სპეციალურმა ბრძანებულებამ უშველა, რომლის თანახმადაც სარგებლობა განაკვეთები სხვადასხვა ვადის ანაღრებზე მინიმუმ სამი და მაქსიმუმ 9 პროცენტით განისაზღვრა. ბუნებრივია, ამგვარი საპროცენტო განაკვეთები მოქალაქეთა ანაღრების ინფლაციისაგან ვერ დაიცავს. აი, კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ პატოსან მშრომელსაც შეიძლება ჰქონდეს ნელზე არც თუ ისე მცირე თანხა, თანაც რასაკვირ-

დაციისავენ, ასე სწორედ რომ იზრდებოდნენ ბოლო წლებში პრეზიდენტის აღმინისტრაციის ეკონომიკური სიბეცის გამო, ყველას გვახსოვს რითი დაიწყო სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პრაქტიკა მატერიალური წარმოების სფეროში ან კიდევ სამეურნეო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროცენტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში არსებითად გაიზარდა ხელფასი, შრომის მწარმოებლობა და კ... თუნდაც კომპერატივები ავიღოთ, მათაც ხომ თავისი საქმიანობა დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის მითვისებით დაიწვეს, უშუაგდა კი არ მოგვეცეს. მოკლედ, მიმდინარე ფულადი რეფორმა სწორედ იმ დანახვების კონფისკაციისაგან არის მიმართული, სულ ცოტა ხნის წინ თვით ხელისუფლების ეკონომიკური ვალუტარიზმის შედეგად რომ მივიღეთ.

## ფულადი რეფორმა: მითი და რეალობა

ცირებელი დეკლარაციის ანუ ახსნა-განმარტების წარდგენის საკითხებს.

მაინც რას ისახავს მიზნად 50 და 100-მანეთიანი კუპონების მიმოქცევიდან ამოღება? პრეზიდენტის ბრძანებულებაში, ისევე როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ღონისძიება მიმართულია უწინარეს ყოვლისა ჩრდილოეთის ეკონომიკისა და მისი „ბარონების“ წინააღმდეგ. ლოგიკა მარტივია. ქვეყანაში მიმდინარეობს სასაქონლო დეფიციტი, რომლის დრამატიზაციამაც ლომის წილი უდევს ათასი ჯურის საქონლებს. ამ უკანასკნელთა უზრუნველყოფის მიზნით მიმოქცევიდან ამოღებული კუპონები უზრუნველყოფენ სასაქონლო დეფიციტის დაზარალებულ მოსახლეობას. 1989 წლის ოფიციალური მონაცემებით, ჩრდილოეთის ეკონომიკიდან მიღებული შემოსავლები მინიმუმ 60 მილიარდი მანეთი შეადგინეს. დაუქმყოფილებელი მოთხოვნის სტაბილიზაციისათვის პირველ რიგში სწორედ ამ უზრუნველყოფის მიზნით კონფისკაცია უნდა მოხდეს. ამისათვის კი უპირაზი ნაწილობრივი ფულადი რეფორმის ჩატარება იმ კუპონების ამოღების მიზნით, რომლებიც ყველაზე მეტად ილექება მიმოქცევაში და რომლებიც დიდი რაოდენობით დაგროვებისათვის, ასე თუ ისე, ხელსაყრელია. ერთობ ლოგიკურად მსჯელობაა, მით უმეტეს რომ იგი სოციალურ-პოლიტიკურადც გამართულია. მოსახლეობის ფართო ფენები განახლებული მთავრობის პირველი რადიკალური ღონისძიებით თითქოს „კაყოფილა“ უნდა დარჩენი, მაგრამ როგორც ჩვენში იტანება „ეგრე არ არის თაყაო!“

დავიწყეთ თუნდაც იქიდან, რომ ჩრდილოეთის ეკონომიკის სუბიექტები თავიანთ კოლოსალურ ფულად სახსრებს უპირატესად ან „საქმეში“ უშვებენ, ან კიდევ

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრეზიდენტის „სნაიპერული“ გასროლა მათი მიმართულებით საცესებით უშედეგო იყო. საქმისგან უდავოდ დაზარალდნენ, თუმცა არა იმ ზომით, რა ზომითაც იყო ჩაფიქრებული, მით უმეტეს, ის დამოკიდებული წყარო შემოსავლისა ჯერ ხომ კიდევ არსებობს.

პატოსანი მშრომლები ხომ გადაარჩნენ, იკითხავენ პრეზიდენტის პრეზიდენტები. სამწუხაროდ არც ასეა საქმე. მანეთის „რეფორმატორებს“ ყურადღებას მიიღო დარჩათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ვარსკვლავი. ტოტალური დეფიციტის გავლენით კატასტროფულად იზრდება მოსახლეობის აშკარად დაუქმყოფილებელი მოთხოვნა, ანუ ფულადი მასის ნაწილი, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საქონლით ბაზარზე და შეადგენს მოსახლეობის ე. წ. ჯარბეულ დახანოებს სხვაგვარად „ცხელ ფულს“, რომ ეძახიან. უკანასკნელის მოცულობამ ბოლო პერიოდში ზოგიერთი შეფასებით მინიმუმ 100 მილიარდ მანეთს მიადწია. ამ კოლოსალური თანხის დიდ ნაწილს მოსახლეობა ხელზე იჭრებს ორი მიზეზით, ჯერ ერთი მძიმეარებს ინფლაცია და როდის რა თანხა დასჭირდება მოქალაქეს დაუქმყოფილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ღმერთმა უწყის, მეორეც, საბჭოთა კავშირში ფაქტურად არ არსებობს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირების ხელსაყრელი შესაძლებლობები.

კი მაგრამ, შემნახველი ბანკები? ფულადი რეფორმის ავტორებს აქაც დალატობს მასსაფრობა. განა მათ არ იციან, რომ პიპერიფლაციის პირობებში, რომლის ინდექსი 1991 წელს საექსპერტო შეფასებით 26 პროცენტს მიადწევს, მოსახლეობის ფართო

ველია 50-იან და 100-მანეთიანი კუპონებში.

რახან აქვე უნდა ითქვას, რომ შემნახველი ანაღრების გამოყენების შეზღუდვა ერთობ დისკრიმინაციულია — რატომ? გვეკითხავენ მანეთის „რეფორმატორები“, თუ 500 მანეთზე მეტი საქონლის ყიდვა გასრულ, ისარგებლებენ უნდა ანგარიშსწორების წესით. აქაც მეხსიერება დალატობს ჩემს კოლეგებს. განა მათ არ იციან, რომ ძალზედ შეზღუდულია იმ საგნების ნომერკლატურა, ანგარიშდანი ანგარიშზე ფულის გადარიცხვით რომ შეიძლება შეიძინონ. იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, თუ რამდენად „კარგად“ ემსახურებიან ჩვენს ბანკები კლიენტებს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა „ადვილი“ იქნება უნდალ ანგარიშსწორება. და კიდევ, დაახლოებით 300 მილიარდი მანეთის ლირებულების 196 მილიონ შემნახველი ანაღრები (1989 წლის მონაცემებით) ნახევარზე მეტი ერთიდან 5 ათას მანეთამდე მოცულობისა და მხოლოდ 0,6 პროცენტი მოდის იმ ანაღრების, წილად, რომლებიც 25 ათას მანეთს აღემატებიან. ცხადია ზარალდებიან უპირატესად პატოსანი შენახვები.

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტის ბრძანებულებამ არა მხოლოდ ჩრდილოეთის ეკონომიკის „ბარონები“ დაზარალა. ფულადი რეფორმა მოსახლეობის ფართო ფენებზე შეეხო, რომელთათვისაც სიმწირით დაგროვილი ხუთი, გნებავთ ათი ათასი მანეთი, გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე მსხვილი საქმისინისათვის ერთი ათად მეტი დაუმსახურებლად ნაშოვნია თანხა. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რეფორმა საცესებით არ ითვალისწინებს სოციალურ პრიორიტეტებს. იგი მიმართულია მოსახლეობის იმ შემოსავლების ლიკვი-

დაციისავენ, ასე სწორედ რომ იზრდებოდნენ ბოლო წლებში პრეზიდენტის აღმინისტრაციის ეკონომიკური სიბეცის გამო, ყველას გვახსოვს რითი დაიწყო სრული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის პრაქტიკა მატერიალური წარმოების სფეროში ან კიდევ სამეურნეო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საპროცენტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. ორივე შემთხვევაში არსებითად გაიზარდა ხელფასი, შრომის მწარმოებლობა და კ... თუნდაც კომპერატივები ავიღოთ, მათაც ხომ თავისი საქმიანობა დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის მითვისებით დაიწვეს, უშუაგდა კი არ მოგვეცეს. მოკლედ, მიმდინარე ფულადი რეფორმა სწორედ იმ დანახვების კონფისკაციისაგან არის მიმართული, სულ ცოტა ხნის წინ თვით ხელისუფლების ეკონომიკური ვალუტარიზმის შედეგად რომ მივიღეთ.

ძალზედ ძნელია შეაფასო 1991 წლის ფულადი რეფორმის შესაძლო ეკონომიკური შედეგები. ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, თუ როგორ იქნება პრეზიდენტის უფრო სწორად პრეზიდენტ-მინისტრის შემდგომი ნაბიჯები, ცხადია მსხვილი ნომინალური კუპონების ამოღება მიმოქცევიდან მხოლოდ ჭაფის მოხსნა იყო. მას აუცილებლად მრძვეება არა ნაკლებ რადიკალური ღონისძიებები. ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს მოსახლეობის შემსახება, რომ მალე 25-მანეთიანი კუპონების ჩაერთო მოვა. ვ. პავლოვის ინტერვიუთი თუ ვიმსჯელებთ უახლოეს ხანებში უნდა დაიწყოს პრივიტიზაცია, რომელმაც უწყით ფულის დიდი მასა უნდა შეთანქოს. უნდა მოველოდეთ აგრეთვე შემოსავლების გაყენვის პოლიტიკასაც, რასაც ექსპერტი ალბათ აღმინისტრაციული წესით განახორციელებს. შორს არ უნდა იყოს ფასების რეფორმაც. მაგრამ ვერცერთი ჩამოთვლილი ღონისძიება ეფექტურ შედეგს ვერ გამოიღებს თუ არ მოხერხდება მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი ზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა, რომელიც მიმოქცევაში ზედმეტი ფულადი მასის ზრდის მთავარი წყაროა.

ამდენად შესძლებს ბიუჯეტის დაბალანსებას ახალი მთავრობა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი რამ კი ფაქტია, ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ მიუშრთავთ ფულადი რეფორმისათვის ღრმა ეკონომიკური რჩისის პირობებში, ამიტომ ვშიშობთ რომ მსხვილი ნომინალური კუპონების მიმოქცევიდან ამოღება და შემნახველი ანაღრების სარგებლობის შეზღუდვა კიდევ ერთი საბჭოთა ექსპერიმენტია, რომელიც კარგს არაფერს მოიტანს.

შეზარტ ბანკში,  
ეკონომიკურ ჩვენიერებათა  
კანდიდატი „სისუსტე“  
ფერადის“ ეკონომიკური  
მიმომხილველი.

ცრემლები აბრჩობდა ოფიცერს. — ბიჭი არ მოგვიკლან, ცუცხლი მათ პოზიციებს, გაისმა მილიციის უფროსის ხმა.

ტიკვებით დაცხრილულ ავტობუსში ისინი სულ ბოლოს ავიდნენ. ავტობუსის კუთხეში გადაარჩინილი ძაღლები თავიანთი მხსნელის ფეხებთან გაბრბულიყვნენ.

გორის საავადმყოფოში ინახულეს ჯიმშერი თანამშრომლებმა. მეუღლე ადგა თავზე. უხერხული სინთეტი იდგა. ყველას უფროდა საუბრის დაწყება. თითქოს მის დაკრახში მათ მიუძღოდნენ ბრალი. სინთეტი იდგა ჯიმშერმა დაარღვია. ბიჭებმა, სისხლისაგან დაცლილი აქ რომ მომიყვანეს და სასწრაფოდ საოპერაციოდ მომამზადეს, ქირურგმა მკითხა — რა გვარის კაცი ხარო, რაღაც ძალა მყყო, წამოვიწვი, თვალბში შეგხედდე და ვუპასუხე, მამარდაშვილი ვარ შეთქი. შემდეგ აღარაფერი მამსოვს, გრძობა დამიკარგავს. ოპე-

რაცია დიდხანს გაგრძელებულა და მხოლოდ რუანიმციამი მოველი გონს.

— საკუთარი გვარი რატომ დაუმალო? — ჰკითხა ოფიცერმა.

— უფროსო, სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის რომ დიდი უბედურება დატრიალდა, იმის გამო, რატომღაც შიშით ვიფიქრე, ვითუ ქირურგი სომეხი იყოს მეუქი — სიცილით დაამთავრა მამედოვმა.

ღამით, ოსი ერავნების ექსტრემისტთა მიერ მოწყობილი პიკეტების მოსაშლელი ღონისძიებები მიმდინარეობდა, როდესაც მილიციის უფროსმა ოფიცერს უბრძანა მიმდებარე სახლების დათვალიერება და დაკავება, რომ ოს მოსახლეთა საცხოვრებელი ბინები ექსტრემისტებს ქართული მილიციის წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ. ოფიცერმა დაკავება შესარულა, ბინები გაჩრტიკა და მათში დროებით მილიციის თანამშრომლები ჩააყენა. მოზინდარეთა მხრიდან არავითარ წინააღმდე-

გვლას ადგილი არ ჰქონია. ჩანდა ისინი ექსტრემისტებს არ თანაუგრძობდნენ. საშინლად დალოლი ოფიცერი პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში დივანზე ჩამოჯდა. არ ახსოვს რამდენ ხანს იყო ასე. თანამშრომელმა გამოადგინა, მილიციის უფროსი გიბარემსო. გაოცებული დარჩა, იარალით ხელში, როგორ ჩაეძინა. ოთახში ხომ ოსი ეროვნების მოზინდარები იყვნენ.

მარტოდმარტო დარჩენილი, მძინარე, იარალით ხელში, რატომ არ მომკლეს, იარალი რატომ არ წამართვეს ფიქრობდა ოთახიდან გასული ოფიცერი.

მე-5 ზონის მილიციის თანამშრომლები ბანკის შენობის ორივე სართულზე გამაგრებულიყვნენ. ტყვიები შენობის კედლებს ხათქა-ხუთქით ხვდებოდა. გვიანდამე იყო. ოთახში საშინლად ციოდა. მილიციის თანამშრომლები ფანჯრიდან სროლას სროლით პასუხობდნენ.

უკვე ვიღაცამ დიძინა: „პიკე-

ტიდან ორი ოსი ახალგაზრდა წამოვიდა და ჩვენი პოზიციის წინ, სულ ახლოს ხესთან დგანანო.

მილიციის უფროსი მეორე სართულზე ავირა და ავტომატი დაუმიზნა.

ძალიან ახლოს იდგნენ და ოსურად ერთმანეთში რალაცს ლაპარაკობდნენ.

ოფიცერმა პირველ სართულზე ჩაიბრძინა და პისტოლეტით მიზანში ამოიღო ისინი.

სროლა შეეძლოთ, მაგრამ რატომღაც არ ესროლდნენ. ოფიცერს პისტოლეტის სასწლეტზე თითი გაუშეშდა. ვერ გაეგო, რა დამართა, რატომ არ ესროლა — რა შეუცნობელი „სისუსტე“ — გაიფიქრა. მეორე სართულზე დავაპირ ასვლა და ავტომატიც გავარდა. ფანჯრიდან გაიხედა, თოვლზე ვერაფერი შენიშნა, ნუთუ აციოდა, გაიკვირვა და სასწრაფოდ მეორე სართულზე ავარდა.

— პაერში ვისროლე — ჩიოლაპარაკა უფროსმა და ბმადამლა ჰკითხა — შენ რატომ არ ესროლე?

— ვერ ვესროლე — უპასუხა ოფიცერმა.

იქნებ ოლითგანვე თანმდევი ეს „სისუსტე“ ძირითადი მიზეზი ჩვენი ამდენი უბედურებისა, როცა გაპირვებულთათვის ძმურად გაწვდილი ხელის წილ ლახვარი გვარგუნეს ზურგში, გაზიარებულ მიწისა და პურის ნაცვალად კი ლალატი და ცილისწამება არ გვაკმარებს.

და, მაინც ვინ იცის იქნებ ეს „სისუსტე“ უმძალვერესი ბერკეტი ჩვენი ისტორიული გადარჩენისა. სწორედ ის სათელი, ამდენი ბოროტების წიაღში ოხლად რომ ანათებს, რომ საქართველო, კვლავ მუხლებში ძალას იჭრებს და იმედითა და სასოებით ელის თვისის მზის ხელახალ აღმოცისკრებას.

მთავი შენიშვნა,  
მცნეთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პირად შენადგენლობასთან შეზოხის დარგში, მილიციის მამარი.

